დიფერენცირება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე

მოამზადა მაია ინასარიძემ

ყვავის სკოლა

წაიკითხეთ და დააკავშირეთ მოთხრობის შინაარსი სასწავლო პროცესთან

ყვავის სკოლა - ტექსტი.docx

შეკითხვები ფიქრისათვის

- რა ტიპის მრავალფეროვნება შეიძლება შეგვხვდეს საკლასო ოთახში?
- როგორ შეიძლება უზრუნველვყოთ თითოეული მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში?
- როგორ შევძლოთ მათი თავისებურებების იდენტიფიცირება და როგორ გამოვიყენოთ აღნიშნული ინფორმაცია სასწავლო აქტივობების დაგეგმვა-წარმართვის დროს?

დიფერენცირების არსი

თანასწორობა სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა მოსწავლეს ზუსტად ერთნაირად ვასწავლოთ.

საჭიროა სწავლების მართლზომიერი და შესაფერისი მორგება მოსწავლეების საჭიროებებზე ისე, რომ გაიზარდოს მათი შესაძლებლობები, ცოდნა და უნარ-ჩვევები.



სწავლების დიფერენცირება ნიშნავს ადეკვატურ რეაგირებას მოსწავლის საჭიროებებზე.

რა შეიძლება იყოს დიფერენცირების საგანი, ანუ რისი დიფერენცირება შეიძლება სასწავლო პროცესში?

დიფერენცირების საგანი

რისი დიფერენცირება ხდება?

- ✓ **დიფერენცირების საგანია:**
- ✓ შინაარსი,
- ✓ პროცესი,
- ✓ პროდუქტი,
- ✓ გარემო.

რის მიხედვით შეიძლება მოხდეს დიფერენცირება, ანუ რა შეიძლება იყოს დიფერენცირების საფუძველი?

დიფერენცირება ეფუძნება მოსწავლის:

- ✓ მზაობას,
- ✓ ინტერესებს,
- ✓ სასწავლო პროფილს.

დიფერენცირების საფუძველი	რა რისკფაქტორი ახლავს ამ საფუძველს?	რა შეიძლება გავაკეთოთ ამ რისკფაქტორის თავიდან ასაცილებლად?
მზაობა	• "იარლიყების" მიწებების საშიშროება; • დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბება.	• მცირე პროგრესისთანავე უნდა შეუნაცვლოს ჯგუფი და გადაიყვანოს უფრო მაღალი მზაობის ჯგუფში. • მცირე პროგრესისთანავე აღნიშნოს მოსწავლის წარმატება და წაახალისოს.
ინტერესები	• მოსწავლეები მხოლოდ ერთი მიმართულებით იქნებიან ფოკუსირებულნი და, თუ ყოველთვის ვერ მოახერხებს მასწავლებელი მასალის მათ ინტერესებზე მორგებას, ვერ შეძლებენ კონცენტრირებას.	• აჩვენოს საკითხის მრავალწახნაგოვნად, სხვადასხვა კუთხიდან.
მოსწავლის პროფილი	მხოლოდ სწავლის ერთი სტილის დომინირება. ვერ განუვითარდება მოსწავლეს სწავლის სხვა სტილები.	გამოიყენოს სწავლის სხვადასხვა სტილზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები (გამოიყენოს როგორც ვიზუალური, ისე აუდიო მასალა, წერითი და კითხვის აქტივობები, როლური თამაშები და სხვა).

დიფერენცირების შედეგი

დიფერენცირებას გავლენა აქვს მოსწავლის:

- ✓ პიროვნულ ზრდაზე
- ✓ მოტივაციაზე
- ✓ თვითეფექტიანობაზე.

სწავლის სტილი	განმარტება	მაგალითები
ვიზუალური	მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს იმას, რისი სწავლებაც სურს.	მასწავლებელი იყენებს სქემებს, გრაფიკულ ორგანიზატორებს, დიაგრამებს ან ელექტრონული პრეზენტაციის პროგრამას (PowerPoint) ცნების ილუსტრირებისთვის
სმენითი	მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს იმას, რისი სწავლებაც სურს.	მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ან საუბრობს იმის შესახებ, რასაც ასწავლის; დროს აძლევს მოსწავლეებს, გამოიტანონ დასკვნები საუბრისა და განხილვის გზით
კინესთეტიკური	მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, გამოსცადონ ის, რისი სწავლებაც სურს.	მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ მონაწილეობა როლურ თამაშში.
წერა-კითხვით	მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, წაიკითხონ ან დაწერონ ის, რისი სწავლებაც სურს.	მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ წიგნი ან ბეჭდური რესურსი, ან წერილობით გასცენ პასუხი კითხვაზე.

ინტერესი	მაგალითი
მოსწავლის მიერ შესასწავლი თემის ირგვლივ საკითხის არჩევა	მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანი, იკვლიონ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ინტერესების მიხედვით, მაგალითად, ისტორიით გატაცებულებმა ის ეპოქა და ისტორიული რეალიები, რომელთა გავლენითაც შეიქმნა ლექსი (დაწერის ისტორია), „ლიტერატურათმცოდნეების“ ჯგუფში ერთიანდებიან მოსწავლეები, რომლებსაც აინტერესებთ ლექსის იდეური შინაარსის განმსაზღვრელი ლიტერატურული პროცესები, „ლინგვისტების“ ჯგუფი კი იკვლევს ლექსის ენობრივ ქსოვილს. შეიძლება შეიქმნას „მათემატიკოსების“ ჯგუფი, რომლებიც დაითვლიან მარცვლებს სტროფებში და შექმნიან ლექსის ტეხილ დიაგრამას მისი სტროფების, ტაეპების, ტერფების მიხედვით.
მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალების არჩევა	მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანი. მათ შეუძლიათ: 1. დაწერონ ანალიტიკური ესე „მერანზე“; 2. წარმოადგინონ პრეზენტაცია; 3. შექმნან მუსიკალური ან ფერწერითი კომპოზიცია „მერანის“ მოტივებზე.

როგორ დავაჯგუფოთ მოსწავლეები?

დაჯგუფების პრინციპი შეიძლება დაემყაროს:

- მოსწავლის მზაობას;
- მოსწავლის ინტერესს ამა თუ იმ სასწავლო მასალის მიმართ;
- მოსწავლის სასწავლო პროფილს კონკრეტულ სასწავლო მასალაზე მუშაობის კუთხით;
- გარემო პირობებსა და სხვადასხვა სოციალურ ასპექტს.

არჩევანის შესაძლებლობა

არჩევანის შესაძლებლობის მიცემა მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან:

- ✓ ბავშვებს განსხვავებული საბაზო ცოდნა აქვთ;
- ✓ არჩევანი კარგი მოტივატორია.

უმჯობესია ცოტა, მაგრამ კარგად შემუშავებული არჩევანი გვქონდეს მომზადებული, ვიდრე ბევრი: უნდა გავითვალისწინოთ, რომ მრავალფეროვანი არჩევანი მოსწავლეთათვის ზოგჯერ ზედმეტად რთული და დამაბნეველია, მონიტორინგი და შეფასება კი მასწავლებლისთვის შეიძლება დროის გადამეტებულ ხარჯვასთან იყოს დაკავშირებული.

მიზანშეწონილია თუ არა დიფერენცირებული სწავლების დროს გარკვეული დონის მზაობის მქონე მოსწავლეებს მიეცეთ უფრო რთული და მრავალფეროვანი დავალების არჩევანის საშუალება?

- საბაზისო ცოდნის ათვისებისა და მზაობის მატების კვალდაკვალ უნდა მოიმატოს მზაობის ყველა დონის ჯგუფისთვის განკუთვნილი დავალებების სირთულემ და მრავალფეროვნებამ;
- დიფერენცირებული სწავლებისას დაბალი მზაობის მოსწავლეებმა უნდა აღმოფხვრან ხარვეზები სწავლაში და რაც შეიძლება სწრაფად შეუერთდნენ უფრო მაღალი მზაობის მოსწავლეთა ჯგუფებს.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის დიფერენცირების საფუძველთან დაკავშირებით

დიფერენცირება ინტერესების მიხედვით

- წაახალისეთ კვლევა ან ძირითადი ცნებებისა და პრინციპების პრაქტიკულად გამოყენება მოსწავლის ინტერესის ფარგლებში.
- სწავლების დროს გამოიყენეთ ინტერესის ცენტრები, ინტერესის ჯგუფები, სპეციალიზებული ჯგუფები ან საექსპერტო ჯგუფები.
- შესთავაზეთ მოსწავლეებს სასწავლო მასალებისა და ტექნოლოგიების, ამოცანებისა და პროდუქტის არჩევანი.

დიფერენცირება სასწავლო პროფილის შესაბამისად

რადგანაც სასწავლო პროფილი განისაზღვრება მოსწავლის:

- სწავლის სტილით,
- გონებრივი მიდრეკილებებით,
- კულტურული თავისებურებებით,

დაგეგმეთ ისეთი გაკვეთილები, სადაც თითოეულ ინდივიდს იმ გზით შეეძლება სწავლა, რომელიც მისთვის ყველაზე პროდუქტიულია.

დიფერენცირება მზაობის საფუძველზე

შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს:

- მასალის სირთულის დონე;
- მასალის სტრუქტურიზაციის ხარისხი;
- მასალის დამუშავების ტემპი;
- მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი (რომელიღაც ჯგუფს მეტი დახმარება სჭირდება, ზოგს - ნაკლები) და სხვა.

უყურეთ ფილმს „მითია თუ რეალობა?“
https://www.youtube.com/watch?v=RUroKfSO5d4

ფილმის ძირითადი გზავნილები

დიფერენცირება არ არის	დიფერენცირება არის
ყველა მოსწავლისთვის ინდივიდუალური დავალების შეთავაზება;	რამდენიმე სახის საშინაო დავალების შეთავაზება, საიდანაც თავად მოსწავლეს შეუძლია არჩევანის გაკეთება;
მოსწავლეთა მუდმივი ჯგუფების შექმნა მათი აკადემიური მიღწევების მიხედვით;	სწავლების პროცესის გააზრებულად აგება, რაც ყველა მოსწავლეს დაეხმარება ცოდნის დაუფლებაში. მაგალითად, მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სირთულის დავალებების შესრულებას შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა; ან საკუთარი ინტერესების შესაბამისი დავალების შესრულების არჩევანის შესაძლებლობა;
განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა სირთულეების მქონე მოსწავლეებისადმი;	იმის აღიარება, რომ ყველა მოსწავლე პიროვნებაა, განსხვავებული გამოცდილებით, ინტერესებითა და შესაძლებლობებით; თემის შესწავლისას ყოველი მოსწავლის მხარდაჭერა განმავითარებელი შეფასებისა და დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გამოყენებით;
ერთი სასწავლო აქტივობის შეთავაზება ყველასთვის.	მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც მოიაზრებს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, მიუხედავად მათი განსხვავებული სწავლის სტილის, ინტერესებისა და მზაობისა.

რამდენიმე ეფექტური აქტივობა დიფერენცირებული სწავლებისათვის

გაეცანით მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის შეთავაზებულ დავალებას.

გაეცით პასუხი კითხვებს:

- ✓ დაცულია თუ არა დიფერენცირების პრინციპები მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებაში?
- ✓ თუ დიფერენცირების პრინციპები დაცულია, კონკრეტულად სად და როგორ?

სავალდებულო

- ცხრილის სახით წარმოადგინეთ პერსონაჟი N1 და პერსონაჟი N2 თვისებები დამადასტურებელი მონაკვეთებით ტექსტიდან; დაასაბუთეთ, რატომ მიაკუთვნეთ ესა თუ ის თვისება კონკრეტულ პერსონაჟს.

არჩევითი

მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეებს არჩევითი დავალებებიდან აირჩიონ ერთ-ერთი და შეასრულონ ინდივიდუალურად ან წყვილებში:

- წარმოიდგინე, რომ ხარ ჟურნალისტი. მოიფიქრე კითხვები, რომლებსაც დაუსვამდი შენთვის სასურველ პერსონაჟს მოთხრობაში მომხდარ ამბავთან დაკავშირებით მეტის გასაგებად;
- ტექსტში ასახული მოვლენები წარმოადგინე კომიქსის სახით.
- მისწერე წერილი შენთვის სასურველ პერსონაჟს.

არასავალდებულო

მასწავლებელმა შესთავაზა მოსწავლეებს, სურვილის შესაბამისად, დავალებებიდან შეასრულონ ერთი, ერთზე მეტი ან არცერთი:

- აირჩიე შენთვის სასურველი პერსონაჟი და ეპიზოდი ტექსტიდან და გაითამაშე სცენა;
- შექმენი ტექსტის ილუსტრაციები;
- შექმენი მოთხობის აუდიოვერსია.

ზემოთ მოცემულ მეთოდს ჰქვია „სასწავლო მენიუ“. პირველი დავალება, როგორც ვხედავთ, სავალდებულოა ყველასათვის. მეორე დავალებაში სამიდან მოსწავლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ შეარჩიონ ერთი, მაგრამ ეს არჩეული ერთი სავალდებულო შესასრულებებლია. მესამე დავალებიდან მათ შეუძლიათ შეარჩიონ ერთი, ორი, სამივე ან არცერთი.

სასწავლო მენიუ მოსწავლეებს სთავაზობს არჩევანს სწავლაში. მათ შეუძლიათ აირჩიონ კონკრეტულ სასწავლო მიზანთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის ფორმა, დავალების ტიპი ან ამ დავალების შესასრულებლად საჭირო დრო. სასწავლო მენიუში სასწავლო ამოცანების დიფერენცირება შესაძლებელია მოსწავლის მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით.

გარდა იმისა, რომ სასწავლო მენიუ არის დიფერენცირების ინსტრუმენტი, მისი გამოყენებით შეგვიძლია სიღრმისეულად შევაფასოთ საკითხის შესწავლის პროცესში მოსწავლეთა გაგება-გააზრების დონეც. ეს კი მასწავლებელს დაეხმარება, განსაზღვროს, როგორ დაგეგმოს სწავლება მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებების შესაბამისად, რათა მათ შეძლონ შესასწავლ თემასთან დაკავშირებული სასწავლო მიზნების მიღწევა.

იმისათვის, რომ სწავლის პროცესი მოსწავლისთვის საინტერესო და ეფექტიანი იყოს, საჭიროა, მასწავლებელმა სასწავლო მენიუს შინაარსი გააზრებულად მოამზადოს, ხოლო მოსწავლეებს მუშაობისთვის საჭირო დეტალური ინსტრუქციები და მიმართულებები მისცეს. სასწავლო მენიუ მოსწავლეებისგან მნიშვნელოვან ძალისხმევას და დამოუკიდებლობას მოითხოვს, ამიტომ მასწავლებლის ყურადღება და მხარდაჭერა გადამწყვეტი ფაქტორია ამ ინსტრუმენტის წარმატებით გამოყენებისათვის.

მასალა მომზადებულია მარიანა ხუნდაყიშვილისა და სარა ვებერის წიგნიდან „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“

პრაქტიკული სამუშაო

აირჩიეთ კონკრეტული თემა და შეავსეთ „სასწავლო მენიუს“ ქვემოთ მოცემული ბარათი.

სასწავლო მენიუ

თემა: .....

სავალდებულო დავალებები
(უნდა შეასრულოთ ყველა დავალება)
1. .....
2. .....
3. .....

არჩევითი დავალებები
(უნდა შეასრულოთ ჩამოთვლილთაგან ერთი დავალება მაინც)
1. .....
2. .....
3. .....

არასავალდებულო დავალებები
(მოცემული დავალებებიდან შეგიძლიათ შეასრულოთ, რამდენიც გინდათ ან არცერთი)
1. .....
2. .....
3. .....

სასწავლო გაჩერებები

სასწავლო გაჩერებები - ეს არის სასწავლო მიზნის მისაღწევად დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობის ერთობლიობა, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და მიაღწიონ დასახულ მიზანს.

სასწავლო გაჩერებების მოწყობა შეიძლება მერხებით/ მაგიდებით საკლასო ოთახში არსებული სივრცისა და გაკვეთილის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს თითოეულ გაჩერებაზე ხვდებათ შესასრულებელი დავალების ინსტრუქცია. მოსწავლეები ერთ კონკრეტულ ,,გაჩერებასთან“ ატარებენ მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ასრულებენ ინსტრუქციით გათვალისწინებულ სამუშაოს, რის შემდეგაც გადაადგილდებიან შემდეგ გაჩერებაზე. ეს პროცესი გრძელდება მანამდე, სანამ მოსწავლეთა ყველა ჯგუფი არ შეასრულებს თითოეულ გაჩერებაზე მოცემულ დავალებას.

მოსწავლეები მოძრაობენ საათის ისრის მიმართულებით და აქტივობა სრულდება მაშინ, როცა პირველი ჯგუფი დაუბრუნდება საწყის (პირველ) გაჩერებას.



აქტივობა	რა?	როგორ?
სასწავლო გაჩერებები	• სასწავლო მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ერთობლიობა • მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის, მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა • სწავლის სტილის/ცოდნის/ინტერესების მიხედვით დიფერენცირების ეფექტური საშუალება	• „გაჩერებების“ წინასწარ, სასწავლო მიზნის შესაბამისად დაგეგმვა • დეტალური ინსტრუქციები მოსწავლეებისათვის წინასწარ და მუშაობის პროცესშიც • ერთ ან რამდენიმე გაკვეთილზე. არა ყოველდღიურად • „გაჩერებებზე“ მუშაობის შედეგების შეჯამება ჯგუფურად და ინდივიდუალურად • „გაჩერებების“ პროცესის მონიტორინგი და სკაფოლდინგი

სასწავლო გაჩერებების ერთი კონკრეტული მაგალითი

დაყავით მოსწავლეები ოთხ ჯგუფად და ოთხ მაგიდაზე გაანაწილეთ სხვადასხვა ავტორის წერილები „ვეფხისტყაოსნის“ აქტულაურ საკითხებზე.
პირველი გაჩერება.docx
მეორე გაჩერება.docx
მესამე გაჩერება.docx
მეოთხე გაჩერება.docx
თითოეულ ჯგუფს მიეცით 10 წთ. თითო წერილის გასაცნობად და მოკლე რეზიუმეს გასაკეთებლად.
მას შემდეგ, რაც ჯგუფები გაეცნობიან ყველა წერილს, შეგიძლიათ გაალეთებინოთ მოკლე პრეზენტაციები (მაგალითად, კენჭისყრით ვისაც რომელი წერილი შეხვდება, ის წარმოადგინოს).

წერითი დავალება „რაფთი“

მეთოდი „რაფთი“ გულისხმობს მოსწავლის გააზრებულ არჩევანს წერითი დავალების შესრულებისას, რომელიც ხელს უწყობს დიფერენცირებულ სწავლებას. „რაფთ“ არის შემდეგი სიტყვების აკრონიმი: როლი; აუდიტორია; ფორმა; თემა.

ვიდრე წერას დაიწყებენ, მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ, ვის როლს მოირგებენ, ვისი პოზიციის გამოხატვას შეეცდებიან საკუთარი ნაწერით. ამის შემდეგ მოსწავლემ უნდა შეარჩიოს აუდიტორია, რომელსაც მიმართავს. როლისა და აუდიტორიის შერჩევის შემდეგ მოსწავლე გადაწყვეტს, რა ფორმით სურს სათქმელის გამოხატვა და კონკრეტულად რომელ თემაზე სურს აქცენტის გაკეთება. შეიძლება ეს ერთი თემის ფარგლებშიც გაკეთდეს.

მაგალითი

როლი, რომლის თვალთახედვითაც უნდა შესრულდეს წერითი დავალება	აუდიტორია, ვისთვისაც იქმნება ნაწერი	ფორმა, რომელსაც ირჩევს მოსწავლე	საკითხი (თემა), რომელზედაც უნდა შესრულდეს წერითი დავალება
• განმგეთუხუცესი • შორენა • კონსტანტინე არსაკიძე • ფარსმან სპარსი • გიორგი მეფე • მელქისედეკი • სვეტიცხოვლის მშენებელი მონა	• ეკლესიის მრევლი; • საკუთარი თავი; • მომავალი თაობა; • სვეტიცხოვლის მუშები; • მოწინააღმდეგეები; • მეფე გიორგი.	• დღიური; • ქადაგება; • წერილი; • თხოვნა; • ანდერძი; • თეთრი ლექსი; • მონოლოგი.	• ხელოვნების მარადიულობა; • ხელოვანის ბედი

აქტივობა	რა?	როგორ?
„რაფთი“	• **რ**ოლი **ა**უდიტორია **ფ**ორმატი **თ**ემა • მოსწავლის გააზრებული არჩევანი წერითი დავალების შესრულებისას • სწავლის სტილის/ცოდნის/ინტერესების მიხედვით დიფერენცირების ეფექტური საშუალება • მოსწავლის მიერ იდეების გენერირების პროცესსა და მოვლენათა ანალიზის, შეფასების უნარებზე დაკვირვების საშუალება	• მოსწავლეთათვის ინსტრუქციისა და მეთოდის კომპონენტების დეტალურად გაცნობა; • მოსწავლეთა მიერ „რაფთის შემადგენელი კომპონენტების შერჩევა *შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში (საგაკვეთილო მიზნიდან გამომდინარე) მასწავლებელმა თავად შესთავაზოს ზოგიერთი კომპონენტი* • პროცესის მონიტორინგი და მიზნობრივი სკაფოლდინგი

მომზადებულია წიგნის „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ მიხედვით

საკითხავი მასალის არჩევა

I. დამოუკიდებელი ან ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხავ მასალას. მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის უფრო მიმზიდველი საკითხავი მასალა ჯგუფური ან ინდივიდულური სამუშაოსთვის.

II. მასწავლებელი მოსწავლეებს ძალიან დაეხმარება, თუ დამატებით რესურსს შესთავაზებს „რეალური სამყაროდან“, მაგ., გაზეთებიდან, ჟურნალებიდან ან სხვა წიგნებიდან.

III. რაც უფრო მდიდარი იქნება მოსწავლეებისთვის შეთავაზებული საკითხავი მასალა, მით მეტად იქნება შესაძლებელი დიფერენცირება და, შესაბამისად, უფრო მეტი მოსწავლე შეძლებს ისწავლოს და განვითარდეს.

იმისათვის, რომ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული საკითხავი მასალა ეფექტურად იქნეს გამოყენებული, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ მოიძიოს რაც შეიძლება ბევრი ჟურნალი, სტატია თუ წიგნი, საიდანაც ის შეარჩევს მოსწავლეებისთვის და სასწავლო მიზნების მიღწევისთვის ყველაზე მეტად შესაფერის მასალას. საკითხავი მასალა მრავალფეროვანი უნდა იყოს, შეიძლება სახალისოც კი. აქ უნდა იყოს გრაფიკული ნოველები, სტატიები თანამედროვე რეიტინგული ჟურნალებიდან და გაზეთებიდან და ა.შ.

აქტივობების დიფერენცირებული ვარიანტების ნიმუშები

დავახასიათოთ პერსონაჟი

- წაკითხული ტექსტის მიხედვით შეავსე პერსონაჟის სქემა.
- სქემაზე დაყრდნობით ისაუბრე:
  - ✓ დაახასიათე, როგორია პერსონაჟი;
  - ✓ ახსენი, რის საფუძველზე გამოიტანე ეს დასკვნა (ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით).
- დავალების წარმოდგენის შემდეგ ისაუბრე:
  - ✓ რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შევსებულ სქემაში პერსონაჟი სრულადაა დახასიათებული?
  - ✓ როგორ მოძებნე ტექსტში ინფორმაცია პერსონაჟის შესახებ?
  - ✓ თავიდან რომ აკეთებდე დავალებას, რით გააუმჯობესებდი?

პერსონაჟის სქემა

ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა ღამურას შესახებ	
პერსონაჟი	
ის ფიქრობს...	
ის აკეთებს...	
ის ამბობს...	
ის გრძნობს...	
პერსონაჟის მიზანია...	
როგორია პერსონაჟი?	

დიფერენცირების შემდეგ

პერსონაჟის სქემა

ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა ღამურას შესახებ	
პერსონაჟი	
ის ფიქრობს...	
ის აკეთებს...	
ის ამბობს...	
როგორია პერსონაჟი?	

✂ ----------

რჩევა მასწავლებელს: საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ ზოგიერთი გრაფა წინასწარ შეავსოთ და მხოლოდ დანარჩენის შევსება სთხოვოთ მოსწავლეს / მოსწავლეთა ჯგუფს. რასაკვირველია, შესავსები გრაფების რაოდენობა მოსწავლეთა მზაობის მიხედვით შეგიძლიათ გაზარდოთ ან შეამციროთ.

გმადლობთ ყურადღებისათვის